საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990168472801321

№17/152

27 / იანვარი / 2021 წ.

შპს „გრინ ლენდი“-ის (ს/კ 400186151)
დირექტორს, ლევან აგლაძეს
მის: ქ. თბლისი, კრწანისის N26
ტელ: +995 577954090
ელფოსტა: davitkvantaliani3@gmail.com

ბატონო ლევან,

თქვენი ა/წ 22 იანვრის განცხადების #108 პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სანდრო ეულის N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.05.007.273) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობას და საპროექტო არეალში კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენის მიზნით ჩატარებული არქეოლოგიური ზედაპირული კვლევის ანგარიშის წარმოდგენას, გაცნობებთ, რომ ანგარიშის მიხედვით, საკვლევი ტერიტორიის გარშემო არა ერთი არქეოლოგიური ობიექტია გამოვლენილი, შესაბამისად არქეოლოგიური ობიექტების დაზიანება/განადგურების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია მიწის სამუშაოები განხორციელდეს არქეოლოგის მეთვალყურეობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გეძლევათ დადებითი დასკვნა დაგეგმილი სამუშაოების წარმოების თაობაზე, მხოლოდ არქეოლოგის ზედამხედველობით.

აქვე გაცნობებთ, რომ არქეოლოგი ვალდებულია სააგენტოში წარმოადგინოს მონიტორინგის ეტაპობრივი ანგარიში, წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოები ჩაითვლება სამუშაო პირობების დარღვევად და განხორციელდება კანონით გათვალისწინებული ქმედებები.

აღსანიშნავია, რომ სამუშაოთა მიმდინარეობის დროს არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, უნდა შეწყდეს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (ამ ეტაპზე-სააგენტოს).

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით ლომიტაშვილი